

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალაშვილის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალაშვილის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. შარვზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. ВЪ редакцію газ. „Дроби“.

გაზეთის ფასი: თ. კლ. წლი-სა—8 მან., ნ. ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

სოციალ დემოკრატიული მუშაკთა გაზეთი

დროება

საქართველოს ლენინური მუშაკთა გაზეთი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ვებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცოცროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი მხარისთვისაც ამ მდგომარეობაში წლის დამალვამდინ

„დროება“

ლიხს სა მანეთად

პირველი ლენინობისთვისაც წლის დამალვამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თ ფილისში: რედაქციაში, სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალაშვილის სახლში, № 8.

შალაქს გარეშე პირთა ამ აღ-რესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографш. ВЪ редакцію газеты „Дроби“.

საქართველო

ვისი ბრალია?

პირაი ჩვენში ისეთი პირები, რომე-ლინიც მუდამ ჰყვირიან, რომ ჩვენ გვინ-დოდა და შეგვეძლო ესა-და-ეს კეთილი, საქვეყნო საქმე გაგვეკეთებინა; მაგრამ ამა-და-ამ გარემოებაში ანუ პირმა დავა-ბრკალაო; ჩვენ შეგვეძლო სახალხო შკოლები, სოფლის ბანკების საქმე და სხვა ყველაფერი ხალხისათვის სასარგებ-

ფაქტობრივი

მგზავრის უნიფორმა

შველაფერი შორიდან უკეთესათ გვე-ჩვენებო, —ნათქვამია, და მართლაც ერთი სული მქონდა, სანამ მოვშორდე-ბოდი მუთაისს, ჩემს ტენის და გონებას მიიზიდავდა უცხო, შორი ქვეყანა, ახა-ლი, უცნობი ცხოვრება.

სიცილით და სიამოვნებით ვშორდე-ბოდი სამშობლო ჰაერს. ბუნებას ჩემ-ზედ საზოგადოთ დიდი გავლენა აქვს; მაგრამ არასოდეს არ მოუხდენია იმას ისეთი ძლიერი, გულ-წაბრავი შთაბეჭ-დილება, როგორც გამოთხოვებისას. ნეტავი თუ მოინახება კიდე ცას-ქვეშეთ-ში მეორე მხარე ასე უხვით შემკობილი, როგორც ჩვენი დილოციელი იმერეთი!

თუმცა ჩემ ხალისს არ ჰქონდა სამ-ძღვარი, მაგრამ ფიქრმა, რომ ბევრი ტურა იკივლებს, სანამ მე ისევ ვნახავდე

ლო რამეები გაგვემართა, რიგიანს გზა-ზე დაგვეყენებინა; მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ჩნდებიან ჩვენში ისეთი ბოროტი პირები, რომელნიც ყოველს ნაბიჯზე დაბრკალებას გვაძლევენო.

მითს ამგვარს პირთაგანს ეკუთვნის უფ. შორაპნის უფსდის უფროსი მჭამოე-სკი.

ამ პატივცემულმა პირმა დაბეჭდა ამ დღეებში გაზეთის „მუშაკის“ 264 ნომერში გრძელი წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ შორაპნის უფსდში ზოგის ერთი სასოფლო შკოლები იმიტომ დაკეტეს გლეხებმაო, რომ ძუნწება არი-ანო, თითო მანეთი შესწირეს შვირილი-ნორჩალო სასწავლებლისათვის და თა-ვიანთი სასოფლო შკოლები კი მერე უსაშუალოდ დასტოვესო.

ამას გარდა, უფ. მჭამოესკის ჰაზრით, ხსენებულს უფსდში ხალხის განათლების ცუდათ მსგელოება მიეწერება უმთავრე-სად იმ ზოგიერთს ბოროტ პირებს და მქადაგებლებს, რომელნიც გაზეთებში სწვრენ რაღაცა კორრესპონდენციებს და ხალხს აგონებენ, რომ შკოლები დასტო-რეთო. აზნაურები და ვაჭრებიც აგონე-ბენ ხალხს შკოლების დაკეტასაო.

როგორ გააკვირვებელი არ არის, რომ ამას ამბობს უფ. შორაპნის უფსდის უფროსი, რომელსაც ათ წელიწადზე

მეტი დაუყვია თავის უფსდში და რომელ-მანც მაშა სიღამე კარგათ უნდა იცოდეს თავის ხელ-ქვეით ხალხის ხასიათი.

ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე ყოფილა მოყვანილი ნამდვილი მიზეზები იმისა—თუ რად მიდის ცუდათ საზოგადოთ ჩვენში და განსაკუთრებით იმერეთის ზოგიერთს უფსდში სახალხო შკოლების საქმე. მაგრამ საქროთ ვრაცხოთ გავი-მეორეთ კიდე ეს მიზეზები მოკლედ მაინცა:

რაღა თქმა უნდა, რომ ნამდვი-ლი მიზეზი ამისა სრულებით ხალხის სიძუნწე არ არის. მართველ ხალხზე ყველაფერი შეიძლება ითქვას და სიძუნ-წე კი მარტო მჭამოესკისაგან გვესმის; განსაგუთრებით არ ითქმის სიძუნწე ისეთს საქმეში, როგორც განათლება.

ვის არ ახსოვს—თუ რა ხალისით სწირავდა ჩვენი ღარიბი ხალხი ოფლით ნაშოვნ უკანასკნელ კაპეიკს თავის შკო-ლებისათვის, როდესაც პირველად დაიწ-ყენს ჩვენში ამ შკოლების გახსნა.

და რატომ სწირავდა მაშინ და რატომ ალარ სწირავს ახლაც? რატომ აუცრუედა ახლა გული თავის შკოლებისათვის?

იმიტომ რომ შკოლამ მოატყუა ის რას მოელოდა ის შკოლიდამ? როგ-ორც ყველა გაჭირებული კაცი უკანას-

იმერეთის სხუტუკა ტყეებს, მის მოზიბინე ამწვანებულ ყანა-მინდვრებს, ღრმით გაშლილს ლურჯ ცას, სანამ ვისუნთქე მის წმინდა ჰაერს, —ამ ფიქრმა ცოტა არ იყო ნალექი გაურია ჩემს ხალისს და დამაფიქრა.

ბალონებით ვუცქერდი ვაგონის გაღე-ბულ ფანჯარაში, როგორ თან-და-თან მჩჩებოდა უკან კეკლუყად ჩაბუდულ ხეებში მუთაისი, როგორ უკანასკნელათ ისვრიდა გამოსალმების სხავეს ცეცხლ-მოღებული ჩამავალი მზე და გადაჰყრა-და არე-მარეს რაღაც გამოუთქმელ, უცხო, პოეტურს ბეჭედს.

იყო მშვენიერი, ჩუმი, წყნარი საღა-მო, ისეთი, როგორც იცის ხალხზე შემოდგომის პირზე ჩვენმა იმერეთმა. მღონდ ისმოდა ვაგონების ჩახუნი და პასაჟირების გაურკვეველი ხმაურობა.

რომ ჩვენს სამშობლოს ენაცვალემა სხვა მხარეები, რომ ის ქვეყნის თვალთა ბუნების სიუხვით, მშვენიერებით, სიმ-დიდრით, —ეს ბევრჯერ თქმულა, ეს

ბრმისთვისაც დღის ნათელივით ცხადია უდავო ქეშპარიტება. ბევრჯელაც თქმუ-ლა, რომ მარტო ბუნებათი სიმდიდრით და სიტურთავეთ შორს ვერ წახვალო-რაც მართალია, მართალია, და მეც სრული თანახმა ვარ. მაგრამ მსურს ნათ-ქვამა დაუმატო შემდეგი:

რა შედარებაა მუთაისსა და მღესასხა შუა! მითი ლატაკი, მიყრუებული, ჰაწაწინა; მეორეკი გამოჩენილი და დიდ-ბული ქალაქია; სად ერთის ვაჭრობა, ალბ-მიცემობა, კეთილ-გაწყობილება და სად მეორესი; ერთის წლიური შემოსა-ვალი მეორეს, მგონია, რომ დღეში შემოდოდეს; სად ერთის სწორი ნათა-ლი ქვეთ მოყვნილი, გაზით განათებუ-ლი ქუჩა, ფართო ტროტუარები, ამა-ყათ ცაში ასული, სასახლეების მგზავსი უზარმაზარი, მაგრამ ეშხანათ და ოსტა-ტურათ მორთული შენობები მშვენიერი მდიდრული მალაზიები, სადაც ჩიტის რძესაც კი იშოვნი, ყოველ კუთხეში გაყვანილი ქუჩის სარწყავი და წალ-ამო-



კნელ შრომასა და ნაშრომს არ დაიზოგავს, თუკი რასმე სიკეთეს, თუ კი თავის ეკონომიურ მდგომარეობას გაუმჯობესებას მოელოს, ასე ჩვენი ხალხიც ამ შკოლიდამ მოელოდა თავის შეწუხებულ მდგომარეობის შემსუბუქებას. შკონა: შეილს გავზრდი შკოლაში, წერა-კითხვასა და ცოტა სხვა რასმეს რომ შეისწავლის, მაშინ უკეთ მომეხმარება ჩემს ოჯახობაში, უფრო ადვილად და მომეტებულსაც იზოვის ლუკმა-პურს, ოჯახობაც უკეთ ეცოდინება, ხენა-თესვა, ყოველი ანგარიში და სხვ.

ესე ეგონა. მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, მალე მოტყუდა. ბაისხნა შკოლები; ხალხა იმთავითვე ფულს არ ზოგავდა; ააშენა შკოლა; დაიქირავა მასწავლებელი და სხვა ყველა ხარჯი იკისრა. მაგრამ რა გამოვიდა? თითქმის სრულიად არაფერი: გლეხის შვილები სამი-ოთხი წელიწადი დაიარებოდნენ შკოლებში, შინაურულ მუშაობაშიაც ცდებოდნენ და შკოლაშიაც ქართული წერა-კითხვაც ვერ შეისწავლეს რიგიანთ, არათუ სხვა რომელიმე პრაქტიკული, ხალხისათვის გამოსაყენებელი საგნები; შეისწავლეს მარტო რუსული ჯღანა და ლოცვები ზეპირად.

რად გაგიკვირდებათ, რომ ამის შემდეგ ხალხმა აიცრუვა გული ამგვარს შკოლებზე? რად გაგიკვირდებათ, რომ ის ცდილობს დაკეტოს ამგვარი შკოლები, რომელთაც იმისთვის არავითარი პირ-და-პირი სარგებლობა არ მოაქვს.

თქვენ მოახერხეთ, ისეთი შკოლა გამართეთ, რომ ჩქილამ გამოსული ყმაწვილი სახლში, შინ, ოჯახობაში გამოადგეს გლეხს და დარწმუნებული იყავით, რომ დიდი გულმოდგინებით, თანაგრძნობით ეცდება ამ შკოლების წარმატებას და არც არას დაზოგავს იმისთვის. დარწმუნებული იყავით, რომ მაშინ უმეტეს აზნაურებმა, ვაჭრებმა და

თითო-ორი ბოროტ პირებმა ბევრიც რომ უქადაგონ ხალხს, ვერ დააკეტებენ თავის შკოლას, რომლისგანაც ის სარგებლობას ხედავს.

რიგიანად საქმის წაყვანა ვერ მოგვიხერხებია და სხვებს ვაბრალებთ,—ეს ყველა სუსტი კაცის ხასიათია. თქვენს ხელშია, უფ. მჭიმოვსკი, ძალა, გავლენა, თქვენსა და დირექტორის ხელშია მზრუნველობა შკოლებისა და, თუ ხეირიანად ვერ მიდიან ეს შკოლები, კერძო პირებსა და სხვა რომელსამე გარემოებას ნუ დააბრალებთ.

ს. მ.

დღიური

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ ქაშად ჩვენს ქალაქში ჩამოსულა უფუშინდესის სინოდისაგან გამოგზავნილი რევიზორი, რომელსაც, როგორც ამბობენ, მინდობილი აქვს თფილისის სემინარიის რევიზია და განსაკუთრებით გამოკვლევა სემინარიელის შავლიევის გამოგდებისა, რომელზედაც ამ სამი წლის წინათ რამდენიმე შენიშნვა იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი.

სასურველია, რომ ამ რევიზორმა ბეჯითად, კარგათ, პატიოსნად გამოიკვილიოს და შეიტყოს მდგომარეობა ჩვენი ერთადერთი სასულიერო სემინარიისა, და ამისი ინსპექტორის უფ. ძუეშინსკის მოქმედებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

* * * ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

„უფ. რედაქტორო! თქვენს პატივცემულ „ღროების“ № 188-ში არის დაბეჭდილი კორრესპონდენცია ქ. ბორიდან მიხეილ ლაჯდებაშვილისა, რომელ-

ხალხები არხები, შადრევანებო,—სად ყველაფერი ეს და სად ჩვენი მუთაისის კაი დარში მტკრიანი და ავდარში ნაგით სასიარულო ქუჩები თავის ათიოდე მიმქრალი ფარებით! მართში მუდაგი გაუწყნარებელი მოძრაობა, მუდაში ხმაურობა, კიჟინი, ეკოპაჟების რახუნნი, შეუწყვეტელი ხალხის მოარეგია; ერთში ცხოვრება ცხარეთ ტრიალებს და სდულს; მეორე კი ამასთან შედარებით მშვიდი, წყნარი, შეუშფოთველია: ამას სიზრმათ თუ მოეჩვენება ის, რაც მეორეს ცხადათ უქცევიან.

მა ხომ ასრეა, და აბა შევადაროთ ერთის და მეორის ღირსება, ბუნებითი, უხვი, უცხო სიმდიდრე, ბუნებითი ტურფა სილამაზე და კაცის შრომით მოგებული სიმდიდრე, კაცის ხელნაქნარი სილამაზე, რომელზედაც მან გადალია თავის ჭკუა, შრომა და ოსტატობა! რაც უნდა ბევრი ეცადოს, რამდენი მილიონებიც არ დახარჯოს და არ იშრომოს, ვერც ერთი გენიოსი, ვერც ერთი

შიაც, სხვათა შორის, ყოველ მოხსენებულს უფ. მ. ხ—შეილს ქრთამეს აღებაზედ, რომლითაც ის პირი ჰკვებამს თავის მამას, დიდს სახლობას.

„ეს აღნიშნული პირი მ. ხ—მ ბევრს მკითხველთაგანს ბორში და სხვაგანაც მე ვგონივართ, რადგან ჩემი სახელი და გვარიც იწოება ამ საოცებით: მ. ხ.

„ამის გამო გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ იმ კორრესპონდენციაში მოახსენებულ პირი მე არა ვარ.“

მანო ხიმშიაშვილი

26 სექტემბერსა, ბორი.

—ხელს-ვაწერთ და ვამტკიცებთ, რომ ის მ. ხ—ი, რომელიც „ღროების“ კორრესპონდენციაში იყო მოხსენებული, სრულებით უფ. მანო ხიმშიაშვილი არ არის.

* * * ახალციხილამ გვეწერენ, რომ, თუმცა ომიც გათავდა და მომეტებული ნაწილი ჯარებიც გაელაგნენ აქედამაო, მაგრამ ისევ ისეთი სიძვირე არის კიდეც ამ ქაშად ჩვენს ქალაქში, როგორც აღწერე, ომიანობის დროს, იყოო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ახალციხის მცხოვრებლებიც და ჩინოვნიკებიც ბევრი წასულან ამ ქალაქილამ ბათუმში; ჩინოვნიკები იქ დაეჭებენ სამსახურსაო და ვაჭრებიც საეჭროთ წავიდნენო. ასე რომ ჩვენი ქალაქი ახლათითქმის სულ დაცარიელებული არისო.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ჩვენი ქართული სცენის მოყვარენი ამ ღვინობისთვის განმავლობაში კიდეც ერთ წარმოდგენის გამართვას აპირებენ. ამბობენ, რომ ამ ჯერობით მოლოდინის სამომოქმედებიან კომედიას „შორჟ დანდენს“

მეხანიკოსი და არხიტექტორი ვერ გაიყვანებენ ოდესაში ნამდვილს, ბუნებითს რომ ემგზავსოს, ისეთს მდინარეს, ვერ გადააკეთებენ ჰაერს და მიწის ნიადაგს ისე, რომ მან შეჰმოსოს და მოთინოს არემარე ჩვენებური ქუთათური მწვანეულობით!

შინ იცის, მომავალი რა ბედს გვიქადის? მეგბ იქნესო, და იმერეთმაც შორს გაშალოს ფრთები, მუთაისი გახდეს მდიდარ ამაყ ქალაქათ, მოაგოს ნათალი ქვებით ქუჩები, გაიყვანოს არხები, გაჩაღდეს ვაზით, გამოჰიშოს დიდებული მარშალილოს კოშკები, გამართოს დიდი ქებული უნივერსიტეტი თავის გიმნაზიებით და შკოლებით, ამასთან შესაფერი თეატრი, ოპერა, გაიჩინოს ჟურნალ-გაზეთები.

მა ხომ ბავშური ყბედობაა, ლიტონი ნატერაა, მაგრამ ბუნების კანონს მაინც არ ეწინააღმდეგება. აბა ვინ იცის, ღრმა მომავალი რას გვიქადის? შეიძლება, რომ მუთაისი გახდეს ოდესაზე უკეთეს

ქალაქათ და ოდესსა კი, სანამ მიწა ტრიალებს, ვერ გახდება მუთაისათ; თუ აღამიანი არ მიდის ბუნების წინააღმდეგ, მის გენიოსობას, მის წინსვლას არ აქვს საშლვარი. და თუ წინ დაუხედა ბუნება, ვერას გავა მისი სწავლა—ცივილიზაცია, ძაცი ბუნების შემწეობით ბევრს რამეს გააჩენს, მაგრამ ვერ გააჩენს თვითონ ბუნებას.

მაშ, ძმებო, ბუნება ღვილით შეგესცქერის ჩვენ, ძმურათ გვიწევს ხელს და გვიქადის ბედნიერ, სანატრელ მომავალს, თუ კი ჩვენც გაუღვივებთ მას, არ აგარიდებთ თვალ-დახუჭვით პირს, ხელს ჩამოვართმევთ, გავიცნობთ და ერთათ დამეგობრებული შეუღლებით შრომას და წინსვლას.

შეწიფარბიე

ოდესსა, 25 სექტემბერს



(თ. ბ. ტუმანოვისაგან ნათარგმნს) არღენწო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 30 სექტემბერს. ჩვენი ბათუმი ეხლა ერთი ხხრით უდაბნოსა ჰგავს და მეორეს მხრით მეორეთ-მოსვლის მოძრაობას რომ იტყვიან, იმას. რაც ჩვენმა ჯარებმა ბათუმი დაიკავეს, მის შემდგომ თითქმის საშუალება მოგვესპო ყველაფერისა; უფორტობის წყალობით, არც რიგიანათ წიგნების, არც გაზეთების მიღება ჩვენ ვერ გვდირსებია. არ ვიცით—ჩვენი ფორტის ადმინისტრაცია რას ფიქრობს, ან თუ უნდა მალე გამოგვიყვანოს ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან!

ახლა თამამად შეგვიძლია დავაფასოთ ფორტის საჭიროება და იმისი მოტანილი სარგებლობა!

მეორეთ-მოსვლის მოძრაობას რომ მოგახსენებთ, ეს ის განხლავთ, რომ ეხლა ბათუმი იმნაირ ქალაქს შეადგენს, რომ დედა-მიწის ზურგზე რა ჯუჯა ხალხიც არიან, იმათგან ყველაგან თითო-ოროლას ნახათ. ზამთარი რომ არ იყოს, მშვენიერი ხალხის გამოფენა იქნება ბათუმი. ისე გასინჯეთ ამერიკიდანაც კი უ. ბეთანელი მობრძანდა. (მოულოცავ იმის ნაცნობ მეზურნეებს! ბაზარი გაეშლება. . . მაგრამ ტასიკოს გული არ წაუვიდეს მოულოდნელი მზიარეობისაგან. . .)

შველა მომსვლელები ეტანებთან მამულის ყიდვას და დაქირავებას. ასე გაძირდა მამული აქ. რომ, რა ფასათაც რუსების მოსვლამდის შეიძლებოდა იმათი ყიდვა, დღეს ორეულ ფასათ მარტო ქირა ღირს... შველა დუქნები თუ სახლები გასტინიცებად და ბახუსის სალოცავებათ განადგ. ბარე სამი თუ ოთხი საუნამუსო სახლებიც არსებობს... მს ჰგავს იმისთვის, რომ ჩვენ მოძმე ქართველებს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ თუ არა ამისთანაების სხვა არაფრის შნო არა გვაქვს, რომ ქვეყანას თუ ხალხს სარგებლობა მოუტანოთ.

რასაკვირველია, თქვენი ჭარი-მე, ყველა გადასახლებას განიზრახავს, როდესაც პირველი ჩვენი მაგალითები ამაირები იქნება:...

მობრძანდით და ახლა თქვენი ქურნალი გაზეთებით დააჭეზიარით უიმი-სოთაც დამფუძნალი ხალხი, რომ ჩვენ იმათი სიკეთისათვის და კეთილ-დღეობისათვის ვიქმნებით მშრომელები, და არაფერს შევცნებით იმათას, არც რჯულს, არც წესებს და ცრუ-მორწმუნებას! . . .

ამას წინეთ „დროებაში“ იყო მოყვანილი, მთვრალი მილიციონერებისაგან მოკლული ძაღლისათვის რა ამბავი ჩაიდინა ხალხმა. დღეს კი უბრძ. სალდა-თებმა დაიკავეს კეტები და სალაც ნა-

ხონ, იქ მოჰკლან ქუჩაში მოსიარულე ძაღლები. რაც ამისათვის საყვედური ის-მოლა, მე იმას არ შეგვხები, რადგანაც ვის უნდა გააგებინო?

როგორ მოგწონთ ისა ბანა არ შეიძლებოდა—თუ მაინც მინი იყენენ ის მაწანწალა ძაღლები, სხვა ნაირი საშუალებით მოესპოთ ისინი, რომ არც ხალხისათვის შეეხედინებინათ და არც ეჩვენებინათ, რომ იმათი წესები იმათ ჯარს თან გაჰყვა?

თუ მაინც ცოტაოდენ კაცობეყვარებას და სინიდის ექიანივით, ის უნდა გამოვიხატოთ, რომ, ამ ნაირი უბრალო მიზეზების მიგებით, რა დაიბადება და გადასახლებული ხალხი რა ტანჯვაში გაიტარებს თავის ორიოდ დღეს ამ დაუღვრომელს წუთისოფელში.

დღეს ისეთ ვერავის აქ მყოფს მცხოვრებთაგანს ვერ შევხვებით, რომ იმათი პირველი სიტყვა ის არ იყოს:

„— აქ ვერ დავდებით, ძიავ, უნდა წავიდეთ... ჩვენ ვერ შევჩვევით... ჩვენ ვერ გავძლებთ!“

ახლა თქვენ ვინც არ იცით—თუ იმათ ძვლებში და რბილში რა ნაირათ არის გამჯდარი ფანატრში, უთუოთ იმას იტყვიეთ, რომ: „დაე, წავიდნენ; რომ წავლენ და ნახვენ იქ ტანჯვას, არ დაბრუნდებიან, მაშ რას იზმენო.“

მაგრამ დარწმუნებული იყავი ჩემო, მკითხველო, რომ ამათ რაც ესმის და რაც იცან, ასეული მეტი ტანჯვა რომ მოელოდესთ, მაინც იქ გასძლებენ და აქ ვერა, რადგანაც ერთხელე ისე ბრყულათ არიან ჩაგონილები, რომ თუ მაჰმადის სარწმუნოებისათვის მეტ ტანჯვას მიიღებენ აქ, იმდენათ უფრო გაუადვილდებათ იქ მაჰმადის წიაღში შესვლა. . .

ახლა მოდით და ამათ თქვენ ჯინში ჩაუდექით, ამათ თქვენ სამაგიეროს გადახდა დაუპირეთ,

როგორც შემოთაც მოგახსენეთ, სხვა თუ არა, კაცობეყვარება, პატიოსნება თუ სინიდისი იმას ითხოვს, რომ ჩვენ იმას მაინც უნდა ვეცადოთ, რომ მიზეზი არ მიეცეთ და იმათ წერილ-შვილის ტანჯვის მიზეზი ჩვენ არ გავხდეთ. . .

თქვენ შეგიტყვიათ, ვითომც ტრაპიზონში ღერვი-ფაშის დროს გადასახლებულები დიდ შეწუხებაში იყენენ და კიდევ გადმოსახლებას აპირობენო. მაღმოსახლების რა მოგახსენოთ და რაც შეეხება შეწუხებას, როგორც დღევანდელმა მომსვლელებმა მოგზაურებმა დამარწმუნეს, წარმოუდგენელს შეწუხებაში ყოფილან.

როგორც შევიტყე, ღერვი-ფაშის დროს ბევრი იმისთანაები გადასახლებულან, რომ მორიდება ჰქონათ.

ამისთანები ზოგი, როგორც ამბობენ, კიდევ დარჩენილან, რომლებიც საწყალ მუშა-ხალხს მოსვენებას არ აძლევდნენ და მარტო ყაჩაღობით სცხოვრობდნენ.

უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩემის ფიქრით, სასურველი იქნება, რომ იმნაი-

რი ღარიბი ხალხის შრომით მცხოვრებლები აღარ დაგვიბრუნდნენ და აქედანაც გადასახლებოდნენ; გვაკმაროს ღმერთმა ამდენი ხალხის ბედით მოთამაშე პირები. . .

თუ არ გვეყოლება რიგიანი გამგე პირები, მაშინ ჩვენ აქ ვიტარებთ და თქვენ მანდღან ზარი მოგვეციოთ. . .

ქაზანა

სიღნაღი, 30 სექტემბერს. ხომ მოგახსენებთ მგზაურის საქმე: მისი გზა და კვალი მოულოდნელ შემთხვევებზე არის ჩამოკანჭურებული, ასე რომ ხან იმგვარი ბედნიერება მიეწევა, რომ მთელი დღე და ღამე, და კიდევ ორი დღე და მეტი, სტანციაში ჯდომა გიხდებათ. მასთან თუ როგორმე გაანაწყენეთ რაზემე სტაროსტა, მაშინ მშვიდობით, ცოლო და შეილო, ერთი კვირა სტანციაში გეძინება.

მე ჩემ მგზაურობაში ამ გვარ კაზუსს ვერ სასიკეთოთ, არ შევეყრილვარ. მართო სიღნაღში მომიხდა ერთი ორი საათი სტანციაში დაბრკოლება. ჯდომა სტანციაში არ ვინებინე. თუცა ტალახი იყო, მაინც ქალაქის დასათვარიელეზლად გავიარე. მე მოსიხარულე ვიყავ, რომ რამე გასართობელი საგანი მეპოვნა. შეიღანი სიღნაღური ენახე, უეზლის უპრავლენიას შორიდან შევხედე; თერთმეტი საათი იყო, ხალხით გაქედული ბალკონი არა ჩნდა, მოჩივრები უფროსს ელოდნენ, ჯერ არ მოსულიყო.

მერე ბაზარში ჩავედი, ტალახი ბევრი ხალხი ბევრი. იქავე მომრიგებელი სამართლო განხლავთ. შევედი, ენახე—საქმე გაცხარებული მიდიოდა: მსაჯულს ჯაჭვი გულზე ეკიდა, საქმეები ხელში ეჭირა, მოჩივრები წინ უდგნენ. ტანცელარია ფაცა-ფუტში იყო.

აქედგან გამოველ, ზევით წაველ, ახალ გზაზე გავიარე; ხიდიც ენახე, ფიჩხის ხიდი. შევიხედე, ყმაწვილები გამოჩნდნენ ერთ გზის-პირის სახლში. ამეღელ-ჩამოვლელბმა მითხრეს, რომ შკოლაა ქალებისაო. ამ დროს თანჯრიდგან გამოჩნდა ქალი—მასწავლებელი. მე დაბლათ თავი დაუკარ და ვსთხოვე, თუ შეიძლება შკოლა ეჩვენებინა. მალმა მიმიღე.

შკოლა ორ ოთახშია მოთავსებული; ცოტათ ვიწროობაა. ათი ქალი იჯდა—სუფთათ ჩაცმული, კახტათ მორთულეები, მშვიდი შეხედულობით იყურებიან, დაშინებულ თვალების მაგიერათ მტრედის სანახე გამოიმხერდა. მართი სიტყვით ქალი—მასწავლებელის განვლენა ქალების—მოსწავლეების ქცევაზე, მათ ხასიათის გაზდაზე ცხადათ სჩანს.

ბედნიერია მასწავლებელი, თუ ყმაწვილებს შეითვისებს, მიიკედლებს, მიიზიდავს თავის კეთილის-ქცევით და ერთგულებით. ბედნიერია მასწავლებელი, თუ მას ქალები ქვეშ-ქვეშათ არ გამოუყურებენ და თავის გულის პასუხის აზ-

რებს მას არ უმაღავენ. ამ ახლათ გახსნილ შკოლბში პირველ შეხედითვე შევაჩნე ეს სიკეთე. თურმე ამ ქალს ეს შკოლა გაუმართავს ამ თვეში და მოუტუნიებია სულ 10 ყმაწვილი.

სწავლის წარჩინება ცხადათ ხანს: სამი კვირის განმავლობაში ისე უსწავლებია ახლად-მისულ ყმაწვილებისთვის — რომ მათმა ხელით ნაწერებმა გამაკვირვებს (?). საკვირველი არ არის, რომ სამ კვირის განმავლობაში ყმაწვილმა ისე ისწავლოს, რომ თავისი აზრი თავისუფლათ ქალაქში გამოხატოს! იიც საკვირველია, თუ ყმაწვილი ამ ხანში აზოების ჩათვლას ისწავლის და დაუყოვნებლივ დაბეჭდილ სიტყვებს წიგნებში ამოკითხავს. მე არა მჯეროდა, თუ ამ ხანში ამ გვარად ყმაწვილები ისწავლიდნენ; მაგრამ ამაში დამარწმუნა აქაურმა მღვდელმა, რომელიც იმ ქალ ქალების შკოლაში იყო და სომხურ ენის გაკვეთილს ასწავლიდა.

ჩემ თვალწინ ქალმა — მასწავლებელმა გაკვეთილი მისცა. ხანს, რომ ყმაწვილების საქმეში გამოცდილია და გვარჯიშებული ყოფილა, ასე რომ მასწავლებლობა ძრიელ გადავიღებული ჰქონია. მართლაც, ჩემ კითხვებზე ქალმა მასწავლებელმა მიპასუხა, რომ ის სამი წელიწადი მასწავლებლად ყოფილა და, რანაკვირველია, იმისათვის დაუყვირა ასე მალე თავის შკოლისათვის წარჩინების ნიშნები. მასთან ქალმა მაჩვენა რეკომენდაციული წერილები ინსპექტორის და დირექტორისა სახალხო შკოლებისა, რომლებიც სთხოვენ სიღნაღის უფლის უფროსს, რათა ნება დართონ ამ ქალს შკოლის გახსნისა და ამასთან თავისი შემწეობა მისცენ, რადგან ეს ქალი ინსპექტორის სიტყვით, „საიმიედო პედალოლაურ, რელიგიურ და პოლიტიკურ აზროვნებაში და მოქმედებაში“, მასთანა თკეთესი მასწავლებელი.

მგრეთვე გავიგე, რომ სიღნაღში ქალაქების სასწავლებელი სრულდებით არა ყოფილა, გარდა სომხის საპრველო შკოლისა, რომელშიაც თუ მე საქმე ძრიელ კანტი-კუნტათ მიდის, ხეირიანი მასწავლებელის უქონელობის გამო. მა შკოლა ვერ აკმაყოფილებს მთელი სიღნაღის მცხოვრებელთ მოთხოვნობას, რადგან აქ შესვლია ნება იღებენ მარტო სომხის ქალები. ამას გარდა რადგანაც უფასო სწავლაა, ყურს არაფერ უკლებს მის ავსა და კარგს: ხომ მოგვეხსენებათ — ნაჩუქარ ცხენს კბილს არ გაუშინჯავენო.

მაშა სადმე სიღნაღში საჭირო ყოფილა იმ გვარი პირველ-დაწყებითი ქალების სასწავლებელი, სადაც დაუბრკოლებლივ იპოვნია შესავალს სომხებიც, ქართველებიც, რუსებიც და სხვ. ამგვარი შკოლაც ამ მასწავლებელ — ქალს გაუხსნია და იმეღია, რომ კეთილი საქმისათვის ყველა შემწეობას მისცემს. ამ ქალს სომხების ქალებისთვის მოუწყვეია სომხის მღვდელი, უ. ტერ-მლიშ ატვატურჩიანცი. მა მღვდელი ჯეილი კაცია, სომხური, როგორც გაკვეთილიდგან ჩანდა, ძრიელ კარგათ სცოდნია მშვენიერათ შეუთავსებია ახალი პირველ-დაწყებითი სწავლის მეთოდები. მისი ქალები მშვენიერათ სწერდნენ სომხურს ასოებს და უფრო მშვენიერათ კითხულობდნენ ლექსებს.

პრთის სიტყვით ამ შკოლამ მოახდინა ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება და ისე გამაკვირა; რომ ამგვარ სიბეჯითეს, მოხერხებას, ვისურვებ ყველა ჩვენ მასწავლებლებისათვის.

ალექსანდრე ბ—ძე

განცხადებანი

ქალიშვილი
შიშლიროთვა

ქალაქის გამგეობისაგან
თფილისის ქალაქის გამგეობა
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 18 დეკემბრისთვის (ოქტომბრის), იმის თანდასწრებით, დანიშნულია მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ტოროვი) ნავთილშის ნავთის წყაროების იჯარით მიმავალ.
სულ შვიდი წყაროა და ამასთან უდაბნო მიწაც.
(2—2)

შე სემთემობიდას დამწეო ბორში აუშციონით მოამბეშულის არტილერიის ცხენების განაწილება. გაისყიდება 1—2 და 4 არტილერიის ბრიგადის ცხენები.
ამ ცხენების ყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ბორში.
(3—2)

თიანერის უზღუი თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით,

ისქი- ლება მამული

სულ 700
დენიანია, რომელიც შეიცავს სახანავ-საბჭეს ადგილს, ტყეს, საწის-კეილეს ადგილს (იორზე).

ზასისა და აგრეთვე უფრო დაწერილებული გარემოების შეტობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სიბღს № 8.

(5—2)

რბ. ბზა.	ლია.	ს. ლა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ.წ. კაბ.	მაცანადა	მ.წ. კაბ.	თფილისის სამაჟრანალო								
თფილისი...	9 21	5 18	9 30	9 30	მ. ცი სიტყვა	თფილისი	29 სექტემბ		მრევნ. ს მადანზე, წ. ნამდგაროვის სახლებში.								
მცხეთა...	10 11	6 27	6 68	- 38	მეთათს, შოთს...	1 —	შქე. თეთ. ბანჯჯ. ხა, ფო.	180	აუთმყოფებს მიიღებენ ყოველს								
ბორი...	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ლუშეთს, სიღნაღს...	— 50	შქელი წითელი...	155	დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.								
ხაშური...	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდგსას, მოსკოვს	2 —	შერი ფუთი...	140	მ. რ შაბათს: მერმიშვილი და ბა- რალევიჩი — შინაგ. ავათ., შიურჩ- ჩიანცი — საჯარო ექიმი და საშვი- ლოს რეპრაციები.								
სურამი...	1 44		4 42	2 46	პეტერბურღს, მარშავს...	2 —	ბამბა მჭევესა, ფუთი.	750	სამ შაბათს: მერმიშვილი — ში- ნაგ. პ. შ ბუტოვი — საბებო და ბავ- შვის, პეუნოვი — თვალს.								
ქვირილა...	5 49		3 81	3 23	მსმაღლეთშ, შვიცი რაში...	3 —	— აპერიკია, ფუთი.	850	მ. თხ შაბათი: მერმიშვილი ში- ნაგანი.								
რიონი...	6 5		6 75	3 75	იტალიაში და ს. ზანაგეთში...	3 50	ბაჟენტალი ბ. მბა ფუთი.	10	— მ. ტ მ შაბათს: მერმიშვილი — ში- ნაგ. ა. შ ბუტოვი — საბებო და ბავ- შვის, პეუნოვი — თვალს.								
სამტრედია...	7 51		7 73	4 29	ინგლისში...	3 75	მაცელი თუმური ფუთი	850	— მ. თხ შაბათი: მერმიშვილი — ში- ნაგ. ა. შ ბუტოვი — საბებო და ბავ- შვის, პეუნოვი — თვალს.								
ახალ-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფონტა		— თარაქამისა ფუთი.	450									
შოთი...	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მეთათს, რუ ხეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხეთშ. მზურ. — პარასკე. და ორშ. მახეთს — ს. შ. და შაბ. ბ) მეთათს-სიღნაღს: თფილისისა და შოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურ-გეთს — ორშ. და პარასკე.												

Дозволено цензурой. Тифлисъ 5 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ნ. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.